ხელშეკრულება კომპანია „ონლაინ აუდიოს“
მომსახურების შესახებ № 201801
27 თებერვალი, 2018

დამკვეთი: გიორგი XXXXXXXX (პ/ნ 00000000000) ელ. ფოსტა: giorgi.XXXXXXXX@gmail.com

შემსრულებელი: შპს ონლაინ აუდიო (ს/კ 416337798) ელ. ფოსტა: onlineaudio.ge@gmail.com

მხარეთა შორის ფაილების მიმოცვლის საშუალება: onlineaudio.wetransfer.com

მომსახურების აღწერა: მუსიკალური ნომრების მიხედვით აუდიოფაილის 15 ნაწილად დაჭრა და აუდიოალბომისათვის მომზადება wav ფორმატში (44.1 khz / 16 bit).

აუდიოფაილის სახელი, ფორმატი და ხანგრძლივობა: concert.wav / 80:24 წუთი

მომსახურების ღირებულება: 155 ლარი

თანხის გადახდის ინსტრუქცია: www.onlineaudio.co/pay201801

თანხის გადახდის ვადა: ხელშეკრულების მიღებიდან 24 საათი

დედლაინი (მომსახურების ვადა): 1 მარტი, 2018 – 20:00 სთ.

„დამკვეთს“ უფლება აქვს, დამუშავებული ფაილების მიღებიდან 24 საათის ვადაში „შემსრულებელს“ ერთჯერადად მოსთხოვოს ფაილების ხელახალი მომზადება შენიშვნების გათვალისწინებით, ხოლო „შემსრულებელი“ ვალდებულია, „დამკვეთის“ მოთხოვნა შეასრულოს მოთხოვნიდან 24 საათის ვადაში.

მომსახურების ვადის დარღვევის შემთხვევაში ვადა ავტომატურად გაიზრდება 24 საათით (დასვენების დღეების გაუთვალისწინებლად) და „შემსრულებელი“ვადის ყოველი დარღვევისას დაჯარიმდება მომსახურების ღირებულების 10%-ით, რაც გულისხმობს მომსახურების ჩაბარების დღეს „დამკვეთის“ ანგარიშზე „შემსრულებლის“ მიერ აღნიშნული თანხის გადარიცხვას.

თუ ვადაგადაცილებული საათების რაოდენობა აღემატება 72 საათს, ხელშეკრულება შეწყდება და „დამკვეთს“ გადახდილი თანხა გადარიცხვის საკომისიოს ჩათვლით უკან დაუბრუნდება 3 სამუშაო დღის ვადაში.

„შემსრულებელი“ ვალდებულია დაიცვას „საავტორო და მომიჯნავე უფლებები“, „დამკვეთის“ მიერ მიწოდებული ფაილები ნებართვის გარეშე არ გამოიყენოს სარეკლამო მიზნებისთვის და არ გადასცეს არცერთ მესამე პირს, თუ ამას არ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა, ამასთან „დამკვეთის“ მხრიდან „საავტორო და მომიჯნავე უფლებების“ დარღვევა პასუხისმგებლობას არ დააკისრებს „შემსრულებელს“.

ხელშეკრულება შედგენილია „შემსრულებლის“ მიერ ქართულ ენაზე, რომლის ხელმოწერილი ასლი მიეწოდა „დამკვეთს“.

„დამკვეთი“ ხელშეკრულების პირობებზე თანხმობას აცხადებს თანხის გადახდის გზით, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ თანხის გადახდის შემთხვევაში.

ყველა დავას მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკების გზით. დავის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოებში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შპს ონლაინ აუდიო

დირექტორი
ილია ჯღარკავა